

მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

აპრილი
(60სან60)

1-15

№7 (316)
(5770)

2010

ფასი 50 თეთრი

“מנורה”

עיתון יהודי

בגוריה

ხსოვნა ნათელი

ერთი წელი შესრულდა მის შემდეგ, რაც გარდაიცვალა ქართველ ებრაელთა ისტორიაში გერალდოვანი პიროვნება, ადამიანი, რომელმაც ამ წუთისთვის წასვლის შემდეგ დატოვა კვალი ნათელი. საკმარისი მისი, მის მიერ განხორციელებული ცნობიერების გზა ყველაზე ნათელია ანასთატიანე მოძრაობის (მისი) მხრიდან დატოვებული პიროვნული ზეგავლენის საფუძველი.

ადამიანი-მოწოდებული სიკეთისათვის, ადამიანი, რომელიც თავს სიჭაბუკედანვე ღირსეულ საქმითა კეთებით იკავებდა. ამით განაღვივებდა ქართველ ებრაელთა თანამოაზრობას, ქართველ ებრაელთა სიკეთისათვის დაძვინდობას, ანთონიანთათვის უბრალო როგორც პაეტი და წყალი, ძირითად-თათვის, სახიშნე სეკიცი, რომელიც მომავლის გზაზე უთუთი სამსახურის გაუწყვლად ახალ თათობს, მიუხედავად იმისა, შეიძლება თუ არა ისინი მ.ძირითადი სიკეთისათვის ესტუმრებიან ქართველ ებრაელთა ცრადიციას – სიკეთე ხომ ყველა ენაზე ერთნაირად განსაზღვრავს ადამიანის სიკეთისათვის.

სწორედ ამგვარი პიროვნების-საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების პირველ წლისთავს მიეძღვნა დღესასწაული, რომელიც 31 მარტს იტოვებოდა, სოლიდონის-სული კაპრის გადაღობილი დასავლეთის კვლავითა დაძვინდობა. ამ დღეს მოძრაობის (მისი) მხრიდან დატოვებული თანხა სამკეთილ-ის ორგანიზაციის კეთილი საქმისათვის სეკიცი-სიკეთისათვის შეაძრძინა.

ეს სეკიცი-სიკეთისათვის ებრაელობის დღესასწაულია იქცა. იტოვებოდა ორგანიზაციის-სიკეთისათვის დაძვინდობისათვის, თუ დასაბრძოლად მსოფლიო უბრალო ქართველ ებრაელთა, სიკეთისათვის წარმოთქმის: ისრაელის მთავარმა რაბინმა იონა მეტსერგამ, სეფარდთა მთავარმა რაბინმა აბრაამ მინისერგამმა, სინოდის სასულიერო და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა.

სალამის გაძვინდობა დარბაზობა.



ისან დავარაზვილი - 80



თბილისის ჯამაათის ერთ-ერთ ღირსეულ წევრს—ისან დავარაზვილს მუდღეულოდ ნული და ვაიშვილის—გია დავარაზვილის მეთაურობით დაბადების 80 წლისთავს ულოცავენ რძეები ინგა და ნანა, შვილიშვილები ნული და რომა თავანთი შვილები: ზნა, ზინი და ირაკლი, მისი მძღვანე ბათიშვილი.

„მენორა“ უერთდება ამ მილოცვას და ჯამაათის დამამყენებელ პიროვნებას—ისან დავარაზვილს უსურვებს სწორედ სიცოცხლეს.

საფესახო სელერი ებრაულ სახლში

2 აპრილს თბილისის ებრაულ სახლში გაიმართა საფესახო სედერი, სედერზე მოწვეულნი იყვნენ „ხესედ ელიაჰუს“ სამეურვეო პირები, თბილისის ებრაული ჯამაათის წევრები.

ეს სედერი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლდათ „ხესედ ელიაჰუს“ სამეურვეო პირებისათვის, ადამიანებისათვის, რომლებიც საყოველთაო ყურადღებას საჭიროებენ. ბევრ მათგანს სამწუხაროდ, არ ეძლევათ საშუალება თავად გამართონ, ან მონაწილეობა მიიღონ საფესახო ავადში. ებრაული სახლის სედერზე ისინი იხსენებდნენ, თუ როგორ დაიხსნა უზენაესმა ებრაელობა ეგვიპტელთა ტყვეობიდან, როგორ გააპო ზღვა მათს გადასარჩენად და როგორ გაუძღვა მათი მამებისათვის ბოძებული სამშობლოსაკენ.

სედერზე შეკრებილთ მიმართა „ხესედ ელიაჰუს“ დირექტორმა რევაზ შათაშვილმა.

თეთრ სახლში

აშშ პრეზიდენტობის 2008 წლის წინასაარჩევნო კამპანიისას პრეზიდენტობის კანდიდატმა დემოკრატიული პარტიისაგან ბარაკ ობამამ მონაწილეობა მიიღო საარჩევნო კამპანიაში ჩაბმული ებრაელი მეგობრების მიერ იმპროვიზაციულად გამართულ საფესახო ავადში და იქვე აღნიშნა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში თეთრ სახლში ყოველ ფესახში გამართავს ავადს.

2009 წელს აშშ პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და პირველმა ლედიმ თეთრ სახლში პირველად გამართეს საფესახო ავადი.

წელს კი ბარაკ ობამას განრიგში გაჩნდა ასეთი ჩანაწერი: „29 მარტი, ავად თეთრ სახლში“

ავად ჩატარდა. მოწვეულნი გახლდნენ თეთრი სახლის ებრაელი და აფრო-ამერიკელი თანამშრომლები. ცხადია, აქ იყვნენ პრეზიდენტი ობამა და აშშ პირველი ლედი-მიშელ ობამა. იყო საუბარი ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლისა და ებრაულ კულტურულ ხელოვნებაზე.



აბხამ ბაზელი



დაიბადა 1948 წელს ქ. თბილისში. 1954 წელს სწავლა დაიწყო 67-ე სკოლაში. 1966-80 წლებში მუშაობდა „თბილისდკერვა“-ს სამკერვალო ატელიების გაერთიანებაში. დაიწყო როგორც ხელისმძღველი და საწარმოს ხელმძღვანელობამდე მიადგა. 1980-90 წლებში მრავალდარგოვანი გაერთიანება „განთიადის“ ბაზაზე ჩამოყალიბდა და ხელმძღვანელობდა სამკერვალო ატელიე „მედვას“.

1990 წელს შექმნა მანეკენთა მოსამზადებელი სტუდია. 1997 წელს დააფუძვნა მოდელების სახლი „ბაზელის სტილი“. 1998 წელს არჩეულ იქნა საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის მრჩეულად. 1998 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით საქართველოში მოდელირების განვითარებაში შეტანილი დიდი პირადი წვლილის, საქველმოქმედო მოღვაწეობის და ახალგაზრდა დიზაინერთა დაოსტატებისათვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

1999 წელს დააფუძვნა საქართველოს მაღალი მოდის აკადემია – „ბაზელი“.

აბრამ ბაზელის ნახელავს პარლამენტარები, მინისტრები, ელჩები, უშიშროების მუშაკები, ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მუსიკოსები, ყოფილი მსახიობები, მომღერლები ატარებდნენ.

აბრამ ბაზელმა ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბინიამინ ნეთანიიაჰს ხელისუფლების სათავეში მეთრეფ მოსვლამდეც გაუზახუნა ორი კონსტიტუციური და საელჩოდან მაღლობის წერილიც მიიღო.

1998 წელს ქართველთა და ებრაელთა თანაცხოვრების 26 საუკუნოვანი იუბილეს აბრამ ბაზელმა თემა „მოდა და ისტორია“ მიუძღვნა და სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ წარმოადგინა. ამ გამოფენით მან ქართველებისა და ებრაელების 26 საუკუნოვანი მეგობრობა ასახა.

აბრამ ბაზელი გახლავთ ნიუ-იორკში და ფრანკფურტში მაღალი მოდის საერთაშორისო კონკურსის - „ოქროს ვარსკვლავის“, ბელორუსიაში გრან-პრი „ნიკეს“ მფლობელი, მოსკოვში ეროვნული მოდის კონკურსის ფესტივალის და არაერთი კონკურსის ლაურეატი, აგრეთვე არის არაერთი, საქველმოქმედო აქციის ინიციატორი და მონაწილე.

აბრამ ბაზელზე, მის დამსახურებებზე საუბარი, ალბათ დაუსრულებლად შეიძლება, იგი ერთადერთი ებრაელი ჩოხოსანი და ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის დიდი ქომაგია. მასში შერწყმულია ამ ორი ერის სულიერება, სიყვარული და მეგობრობა; ამ თემას თავის შემოქმედებაში ყოველთვის ხაზს უსვამს.

შემოქმედება კი მარტო ტანსაცმლის შექმნა არ არის. ეს ქვეყნის, ერის კულტურის აღორძინებაზე ზრუნვა გახლავთ, რომელიც აბრამ ბაზელმა წარმატებით შექმნა.

– ბატონო აბრამ, იმის მიუხედავად, რომ თქვენს შესახებ ყველამ ყველაფერი კარგად იცის, მაინც საინტერესო იქნება თქვენი ბიოგრაფიის ცალკეულ ეპიზოდებს შევეხო.

– დავიბადე თბილისში – იქ, სადაც დაიბადა თვითონ თბილისი. მე ვარ ძველი აბანოთუბნელი, აქ ჩქეფდა თბილისური ცხოვრება. თბილისი აქ დღესაც თბილისობს.

მე-8 კლასამდე 67-ე სკოლაში ვსწავლობდი. სკოლიდან დაბრუნებული თავისუფალ დროს, სახლთან ახლოს მდებარე სამკერვალო ატელიეს ფანჯრებთან ვატარებდი. თერძების საქმიანობას გატაცებით ვუცქერდი. საღამოს კი, როდესაც სახლში ვბრუნდებოდი, ზეწრებს ვხევი, ძველ საკერავ მანქანას „ზინგერს“ მივუჯდებოდი და კერვას ვსწავლობდი.

14 წლის ასაკში ფაბრიკაში მუშაობა დავიწყე და ორთაწლამი საღამოს სკოლაში გადავედი. 6 საათზე უკვე სამსახურში ვიყავი, 2 საათზე ვასრულებდი სამუშაოს და ფაბრიკის წინ მდებარე ატელიეში მაძლევდნენ ორ გამოჭრილ შარვალს, რომელსაც მე ვასრულებდი. 2-3 თვეში უკვე ჩამოყალიბებული მოდელიორი ვიყავი. ამის დასტური კი მოსკოვში საჩვენებლად ჩემს მიერ შეკერილი სამეულის გაგზავნა გახლავთ. სკოლის შემდეგ უმაღლესში ჩაბარების სახსრები არ გამაჩნდა. მაშინ ასეთი ტენდენცია იყო: თუკი პროფსასწავლებელს ფრიადზე დავამთავრებდი, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უფასოდ ჩავირიცხებოდი. დავამთავრე I წლიანი პროფსასწავლებელი. ყველა საგანში 5 მყავდა, მხოლოდ პოლიტ-ეკონომიკაში გამოიმევა 4-იანი, რომელიც გახლავთ „დაკვეთა“, იმისთვის რომ გადამხადა 100 მანეთი. გამოცდის გადაბარება ვთხოვე, თუმცა, „დაკვეთა“ უცვლელი დარჩა და უარით გამომიხსტუმრეს. ამის მერე საბუთები შევიტანე მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმში. ვიფიქრე ამას მაინც დავამთავრებ-მეთქი. თუმცა აქაც იგივე „მოთხოვნები“ დამხვდა.

ეს ორი შემთხვევა ჩემთვის ორი დიდი იმედგაცრუება და



დედა

გულისტკივილი იყო. რა თქმა უნდა, იყვნენ ისეთი ადამიანები, ვკულისხმობ ნათესავებს, რომლებსგანაც შეგვეძლო ფული გვეთხოვა, თუმცა ამის ყოველთვის ძალიან გერცხვენოდა.

შემდეგ უკვე დავამთავრე ხელოვნებათმცოდნეობა, ძალიან მიყვარდა ეს დარგი. მერე - ეკონომიკა. 20 წლიდან დღემდე ხელმძღვანელი ვახლავართ და სწორედ ჩემმა გამოცდილებამ და ყველა სფეროში გათვითცნობიერებულმა ხედვამ მომიტანა წარმატება.

საერთოდ, ყველა ზღაპარი ასრულებადია. თუ რაიმეს ჩაიფიქრებ, აუცილებლად მიადწევ, თუმცა რა თქმა უნდა, ეს დიდი შრომის და სწავლების ფასად მოდის.

მინდა ისევ ბავშვობაში დაგვრუნდე და გამოგიტყდეთ, თუ როგორ დავარდებით საზოგადოებრივი წესრიგი. ალბათ, გავცინებთ, თუ როგორ მოვახერხე ეს. ჩემს ბავშვობაში „ქართლის დედა“ ხით იყო აწყობილი, მე და ჩემი მეგობრები შიგ შევკვრით და ილიამდე, რომ მივალწიეთ, მივლ თბილისს გადავავლეთ თვალი. დაუვიწყარი სურათი იყო, დაუვიწყარი სიღამაზე... თუმცა, მიწაზე დაბრუნებულს მილიცია დაგვხვდა.

თბილისის სიღამაზისა და მშენიერების დასათვალიერებლად რთული პერიოდის მიუხედავად, ხშირად ჩამოდიოდნენ უცხოელები. სწორედ მათგან მესმოდა ხოლმე, რომ კერძო სახლებშივე ჰქონდათ სახელოსნო ოფისი. აი, მაშინ დაიბადა ჩემი სახლი ოცნებაში. მინდოდა მქონოდა საკუთარი სახლი, სადაც მექნებოდა სამსახურიც, სამკერვალოც, ატელიეც და საერთოდ ვიმუშავებდი და ვიცხოვრებდი კიდევ. გავიდა დრო და ბავშვობის ოცნება ავისრულე. ნელ-ნელა ავაშუშავე საამქრო, გავაკეთე გარდერობი, სადემონსტრაციო დარბაზი, ყველაფერი გავაკეთე, რაც ნამდვილი დიზაინერისთვის აუცილებელი გახლავთ.

– გვამბობთ თქვენი ოჯახის შესახებ...

– როგორც უკვე მოგახსენეთ, ძველი აბანო-თუბნელი ვახლავართ. მშობლებთან და უფროს ძმასთან ერთად ლესელ-იბის ქუჩაზე ერთ პატარა სახლში ვცხოვრობდი. მამა - შალვა ბაზაშვილი - წვრილი ბიზნესმენი იყო. დედა - ალექსანდრა (შურა) - საავადმყოფოში ექთნად მუშაობდა. მამა ომის მონაწილე გახლავდა. იგი დააპატიმრეს და გადაასახლეს 25 წლით. ძალიან გვიჭირდა. დედა ჩვენს გამოსაკვებად ორ ცვლაში მუშაობდა. დედას ეზმარებოდა მშენებლობაზე მომუშავე ჩემი უფროსი ძმაც, თუმცა ოჯახის ბიუჯეტი მაინც მიზერული გახლავდა.

გავანდობთ ერთ რამესაც... პალტო არასოდეს მცმია, არასოდეს მცმია მთლიან ძირზე ფეხსაცმელიც. მუყაოს ვუფენდი ძირში და როდესაც სკოლაში მივიდოდი, ლუ-მელთან ვჯდებოდი ფეხსაცმელს ისე ვაშრობდი. ამას ახლა რომ ვიხსენებ გული მიჩუყდება.

მე ყოველთვის ვიტყვი: ფუფუნებაში ვაზრდილი ადამიანი ჩვენისთანას გულისტკივილს ვერ გაივებს. ადამიანი ვალდებულია ვალი გადაუხადოს იმ ქვეყანას, სადაც დაიბადა და ცხოვრობს. თავისი ეროვნული შემართებით თავისი ხელოვნებით, თუ ნებისმიერი საქმიანობით დატოვოს კვალი და ვალი გადაუხადოს მიწას, რომ ამ მიწაზე ტყეულა არ უშვია.

მყავს მეუღლე - მედიკო, ხუთი შვილი, ხუთი შვილიშვილი. ჩემი უმცროსი შვილი - ლიზი და შვილიშვილი ტოლუბი არიან. უფროსი ვაჟი დაოჯახებულია. ორი შვილის მამა ვახლავთ. მყავს ტყუპი გოგო-ბიჭი. გოგო-სამი შვილის დედაა - ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს, ტყუპის-ცალი ზაზა - მხატვარი, ხელოვანი გახლავთ, მან თელავიში დაამთავრა ბეცალელის აკადემია, სულ ახლახანს შერთო ცოლი და საქართველოში დაბრუნდა. ზურა, რომელიც 23 წლისა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობს, არქიტექტურაზე. 14-15 წლის იყო, როდესაც თავისი ხელით გამოჭრა და შეკრა შარვალი. ყველაზე უმცროსი ლიზი წელს ამთავრებს სკოლას და მისი ცოდნა უკვე დაამტკიცეს ოქროს მედალზე. შემდგომში იგი იურიდიულ ფაკულტეტზე აპირებს სწავლის გაგრძელებას. ლიზი ბავშვობიდან მოყოლებული მოწადინებულია სწავლას. თავისუფალი და წიგნების გარეშე იშვიათად მინახავს. ჩემი შვილიშვილი-ალექო ბაზაშვილი კარატეში ჩემპიონი გახლავთ. ბევრი მედალი და ჯილდოები აქვს მოპოვებული.

– რამ გადაგაწვევტინათ სწორედ ამ დარგს გაყოლოდით?

– ქართლის დედა ვახსენე... იცით, ჩემთვის არავის არ



ედიუარდის მამა ერთად

მოუცია სახატავი რვეული, ფანქარი. ხშირად ბოთლებს მოვაროვებდით ხოლმე ბავშვები და ვაბარებდით. მე ვყიდულობდი რვეულს, ფანქარს, საშლელს. მქონდა ასევე პატარა ფიცარი, რომელზეც რვეულს ვდებდი და სწორედ ქართლის დედის ფერდობზე ჩამოვდარი ვხატავდი თბილისს. ვხატავდი, შემდეგ კი ვხევი. ყველაზე ხშირად ეკლესიებს ვხატავდი, რადგან ზემოდან მათი გუმბათები ჩანდა ყველაზე კარგად. ასევე ქუჩებს, უბნებს, ადამიანებს.

ყველაზე სასიხარულო ჩემთვის 20 წლის ასაკში გოლიათზე თვალის ზომით გამოჭრილი კოსტიუმი გახლდათ. მიმა ყარაშვილი მართლაც, საკმაოდ ტანმალალი კაცი იყო. სახელოსნოს ზღურბლზე რომ შემოდგა ფეხი, თავი დახარა და კარში ისე შემოვიდა. ოთხ დღეში მოსინჯვისა და ზომების აღების გარეშე ჩავაბარე. კოსტიუმი მის ტანზე ისე იყო მორგებული, რომ დიღს გადაადგილებაც არ დასჭირვებია.

კვლავ ბავშვობის წლები... მე ვასხენე ტექნიკუმში ვაბარებდი მეთქი. 34 წლის შემდეგ სწორედ ამ ტექნიკუმის კოლექტივი გახლდათ, 8 თვე რომ მოხვდა დირექტორად გავყოლოდი.

2001 წელს დავინიშნე დირექტორად, ბევრი რამ შეეცვალა უკეთესობისკენ. 2004 წელს კი ასეთი ფრაზა მოვისმინე მათგან: „გათორიე, შენ დირექტორად აქ რა გინდა, შე ებრალო!“ რა თქმა უნდა, ძალიან დიდი გვემები მქონდა, თუმცა იყვნენ იქ მკვდარი სულების ჯგუფები, რომლებიც ფულს იღებდნენ და სრულიად არ აწყობდათ სასიკეთო ცვლილებები.

წამოვიდი იქიდან, სახლშიც არ ავსულვარ, კაბინეტში დავჯექი გულდამძიმებული, მაგიდაზე კი „მენორას“ 10 წლისთავიან დაკავშირებით გამოცემული კრებული იყო. გადავხედი და შემთხვევით კულაშელთა სურათზე შევიჩერდი. სურათის ქვეშ კი ასეთი რამ ეწერა: „თუ ადამიანს ავიწროვებენ, მისი საკუთრების დასაუფლებლად სახლში უვარდებიან, სალოცავს უპარტახებენ, იგი ან იარაღს იღებს ხელში ან გაეცლება იმ გარემოს. ქართველი ებრაელი იარაღს არ აიღებს, იგი გაურბის ძალადობას. ამიტომ რაოდენ გულსატკეცილ არ უნდა იყოს კულაშელთათვის ამ დაბის მიტოვება, იძულებულები არიან დატოვონ იგი“. მე კი ჩემთვის გავიმეორე: „რაოდენ გულსატკეცილ არ უნდა იყოს აბრამ ბაზელისათვის კოლეჯის მიტოვება, იგი მიატოვებს მას...“ დავხურე წიგნი და სამსახურში მისვლისთანავე ყველა დავიხარე. ავიღე ჩემი საქალაქე და სათვალე, დანარჩენი კი, რაც მივიტანე, კოლეჯს დავუტოვე და წამოვიდი.

რა ვიცი, რატომ გადავხალე სწორედ იმ გვერდზე და არა სხვაზე, თუმცა ალბათ, ყველაფერს თავისი ახსნა აქვს და მინდა ვითხრა, რომ ეს ფრაზა ძალიან დამემხარა, შეიძლება ითქვას გადამარჩინა.

– რამ განაპირობა თქვენს მიერ ცნობილი ბიბლიური კოლექციის შექმნა?

– მასსოვს, ბავშვი რომ ვიყავი, ბებია მიყვებოდა ხშირად თუ როგორ გამოიყვანა მოშემ ებრაელები ეგვიპტიდან. მე იმ თემაზე შევექმენე ჩემი კოლექცია, რაზეც ბავშვობიდან გული შემტკიოდა. თუნდაც ჩემს ებრაელობაზე და ამის გამო გადამხდარ ფატირაკებზე. ბავშვობაში საქართველოს თითქმის ყველა კუთხე მაქვს მოვლილი და თითოეულმა მათგანმა ჩემში დიდი სიბო დატოვა. მინდოდა ყველასათვის მეთქვა ჩემი შემოქმედებით, რომ მე ვარ საქართველოს ებრაელი შვილი!

ებრაელი ხალხის ისტორია ეგვიპტეს უკავშირდებოდა. კლეოპატრა, მოსე, ებრაელთა დახსნა მონობიდან, ათი მცენება, სინას მთაზე ებრაელთა ერის დაფუძნება, ანგელოზები, მარიაშის სამოსი ბეთლემის დიდი ვარსკვლავით, წმინდა ნინოს სამოსი – სიმბოლო ქრისტიანობისა საქართველოში. ფინალში კი ებრაელი და ქრისტიანული სიმბოლიკების მოდლებით აღვნიშნე ქართველებსა და ებრაელებს შორის 26 საუკუნის მეგობრობა. ეს იყო პირველი ნაწილი და პირველი დიდი აღიარება, რომელიც ქართველთა და ებრაელთა თანაცხოვრების იუბილეს მიეძღვნა.

– რა თქმა უნდა, უამრავი ცნობილი ადამიანისთვის შეგიკრავთ ტანსაცმელი, თუმცა საინტერესო იქნება მაინც გავისხენოთ როგორ, რა სიტუაციაში ხდებოდა ეს?

– 20 წლიდან ზომებს არ ვიღებ, შევხვდავ ადამიანს კარგად და მერე ვკერავ ისე, რომ დიღსაც აღარ სჭირდება გადასმა. ერთ-ერთ შეხვედრაზე პრეზიდენტის გვერდით აღმოვჩნდი, ზუსტად მაშინ ჩავიფიქრე, რომ ბატონი ე. შევარდნაძისთვის შემეკერა კოსტუმი.

1998 წელს კი ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვანი იუბილეზე, ელუარდ შევარდნაძეს, ნეთანიაჰუს – ისრაელის მაშინდელ პრემიერ-მინისტრს და მოშე კაცავს – სპორტისა და ტურიზმის მაშინდელ მინისტრს საჩუქრად თვალის ზომით შეკერილი კოსტიუმები გადავეცი. სხვათა შორის, ასეთი რამ ვალენტინ ოუდაშკინსაც გავუკეთე, წარმოვიდგინე იგი 180-185 სმ სიმაღლის გოგონების გვერდით და მათთან შეფარდებით გავთვალე. საქართველოში რომ ჩამოვიდა, გადავეცი ფრაკი, ქართულ მოტივებზე, ეროვნული ნაქარვებით. როდესაც ჩაიცვა, გოცება ვერ დამალა, ისე მორგებულად და ზუსტად ჰქონდა.

ჩემი შემოსილი განლაგეთ ანსამბლი „ფაზისი“, საქართველოს ავიახაზების ბორტგამცილებლები, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის“ უნიფორმიანი თანამშრომლები,

მსოფლიო ოლიმპიადაზე თელ-ავივში წასული დელეგაცია და 25 სპორტსმენი, 161-ე საშუალო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეები, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია... თუმცა მაინც მინდა გამოვიყვ ერთი უნიჭიერესი ადამიანი – თემურ ყვითელაშვილი. ხელოვანისთვის ყველაზე დიდი სიმდიდრე და სისხარულია, როდესაც მის ნაწარმს ისევე ხელოვანი მოიხმარს.

ერთხელ, როდესაც შევხვდით, ვსაუბრობდით თემურის მოკრძალებულობაზე და რა თქმა უნდა, ნიჭზე, პროფესიონალიზმზე, უცებ ცერა თითის ფესტით ჩემთვის წარმოთქვი, „თემური მაგარი ბიჭია“. სახლში მივედი, მოვხაზე ფურცელზე და შევეკრე პიჯაკი, ზურგზე კი ამოვუქარვე უზარმაზარი გიტარა. ამ გიტარაში ორი რამ დევს – ერთი ის, რომ თემური მაგარი ბიჭია – თითი ჩანს და მეორე – ინიციალები „თ“ და „ყ“. თან ვუთხარი, როდესაც დაიღლები, შემობრუნდი ზურგით მაყურებლისკენ და დაანახე ეს ოქროსფერი ძაფით ამოქარგული გიტარა.

ერთ-ერთ თავის სიტყვებზე, რომელიც მოსკოვში ჩატარდა მართლაც ეს პიჯაკი ჩაიცვა და დამირეკა აღფრთოვანებულმა მადლობის სათქმელად. მინდა ხაზი გავუსვა მის მადლიერ სულს, ყურადღებას და პატიოსნებას. დღესაც ყოველ დღესასწაულსა თუ დღეობაზე მას არ ავიწყდება ჩემთან დარეკვა და მოკითხვა.

– როდის და როგორ წარმოიშვა აკადემიის დაარსების იდეა?

– ჩემი იუბილედან რამდენიმე დღის შემდეგ, რადიო-ინტერვიუში საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა ელუარდ შევარდნაძემ გამოაცხადა მაღალი მოდის აკადემიის შექმნის შესახებ. მან მიიჩნია, რომ დადგა დრო, საქართველოში ჩამოყალიბებულიყო ესთეტიკის, ეთიკის და მოდის ინსტიტუტი, რომელსაც მე ვუხელმძღვანელებდი. ეს ჩემი დიდი სურვილიც იყო. მინდოდა, 40 წლის გამოცდილება გადაამეცა მომავალი თაობისთვის... და მე ჩამოვყალიბე მაღალი მოდის აკადემია „ბაზელი“, სადაც ვავზარდე მხატვარ-მოდელიორ-დიზაინერები.

რა თქმა უნდა, აკადემიის ჩამოყალიბების პროცესშიც




შემხვდა არაერთი წინააღმდეგობა, თუმცა – მაღალი მოდის აკადემია „ბაზელი“ მაინც ჩამოყალიბდა.

ამას გარდა, მიხარია, რომ პუბლიცისტური მუშაობის კარგი გამოცდილება მაქვს. მაგალითად, დათო მთიანეთში, რომელიც დღესდღეობით თურქეთში წარმატებულად მოღვაწეობს, ოქსანა ნიკიტაევაც შემიძლია დავისახელოთ.

ჩემს სახელოსნოში, ჩემი მითითებითა და თანადგომით მუშაობდნენ. ორივეს სადიპლომო ნამუშევარმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. ასეც უნდა მომხდარიყო და ასე არის დღესაც, რადგან, მე მხოლოდ მოდელის ხატვას კი არ ვასწავლი, მთელ ჩემ ცოდნას უუზიარებ, მათ ნიჭს სწორ მიმართულებებს და გასაქანის საშუალებას ვაძლევ. შემოქმედ ადამიანს თუ თავისი ნიჭის და უნარის გამომჟღავნების საშუალება არ მიეცი, ხელს ჩაიქნევს, ცხოვრებაზეც და პროფესიაზეც, შთაგონება კი ორჯერ არ ეწვევა ადამიანს.

ასე დაფუძნდა 1999 წელს მაღალი მოდის აკადემია, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს. მე ვამაობ ჩემი მოსწავლეებით. ამას წინათ ჩემმა გაზრდილმა ერთ-ერთმა სტუდენტმა კანადაში პირველი ადგილი მოიპოვა მოდელიორთა კონკურსში. მე ბედნიერი ვიყავი, როდესაც მის ინტერვიუში მოვისმინე: მე დავამთავრე აბრამ ბაზელის აკადემია და ჩემი პირველი მასწავლებელი იყო ბაზელი.

ალბათ, ყველა იცნობს დღეს ბიჭოლას. ერთ-ერთ გაზეთ-




ში წერდნენ: „ბიჭოლამ აღიარება პირველივე გამოფენიდან დაიმსახურა, სადაც იგი ქართული მოდის მამად წოდებულმა აბრამ ბაზელმა აღმოაჩინა. როგორც თავად ბიჭოლა ამბობს, სწორედ ბაზელის დამსახურებაა, რომ მას ქართული ბოთონდის უმეტესობა იცნობს.“

– გვიამბეთ საერთაშორისო მაღალი მოდის კონკურს-ფესტივალზე „ეროვნული ტანსაცმელი“ და იმ გამარჯვებაზე, რომელიც თქვენ ჩამოიტანეთ საქართველოში...

– საერთაშორისო მაღალი მოდის კონკურს-ფესტივალზე „ეროვნული ტანსაცმელი“ ბელარუსის დედაქალაქ მინსკში ჩატარდა. მონაწილეობას ჩვენი მაღალი მოდის აკადემია „ბაზელი“ იღებდა.

ფესტივალზე აბსოლუტურად თავისუფალი იყო. სულ 38 მონაწილე გამოდიოდა, მათ შორის ჩვენი აკადემიაც, სადაც წარმოვადგინეთ საქართველოს ყველა კუთხის მოდელები, მათ შორის ქართულ-ებრაული, ქართულ-ბელარუსული და „კლეოპატრას“ ტანსაცმელი, რასაც დიდი მოწონება მოჰყვა. საქართველო სიით ბოლო იყო დასახელებული, როდესაც გამოცხადდა, რომ ჩვენ სამივე ნომინაციაში პირველი ადგილის მფლობელები გავხდით, მთავარ პრიზზე ხელი ჩავიქნით. წამყვანს ორჯერ დასჭირდა გამოცხადება, რომ მე სცენაზე ავსულიყავი, რათა მთავარი ჯილდო – „ნიკე“ გამოეცათ ჩემთვის. ნაციონალურ კონსტიტუტში გადმომცეს ცალკე დიპლომი, ლაურეატის წოდებით. სამივე ნომინაციის ერთიანი გრან-პრის მფლობელიც გავხდით. ეს იყო ჩემი პირველი გამოსვლა ასეთ დიდ კონკურსზე. მინდოდა ჩემი საქართველოს კულტურა, ეთნოგრაფია, ისტორია წარმოემჩინა. მთავარ ჯილდოს ნამდვილად არ ველოდი. ეს იყო ჩემთვის უზარმაზარი სისხარული. ასევე დამაჯილდოვეს, საუკეთესო კოსტიუმისათვის „კლეოპატრა“ ნომინაციაში „რეტრო“.

– გმადლობთ საინტერესო საუბრისათვის.



შალომ კობოშვილის მეორე მხარე

„დიდი მხატვარ-პრიმიტივისტი“ - ასე მოიხსენიებდა მისი ხელოვნებით აღფრთოვანებული ლალო გუდიაშვილი შალომ კობოშვილს. ხანდახან გეგვინებდა, როდესაც მხატვარს ამა თუ იმ მიმართულებას აკუთვნებენ, ამით ცდილობენ, ხაზი გაუსვან მის მნიშვნელობას. ასეთ კლასიფიკაციასვე დაუქვემდებარეს ხელოვნებამცოდნეებმა ფიროსმანის შემოქმედებაც.

ამგვარადვე საუბრობენ შალომ კობოშვილის შესახებ. მოაცილეთ სიტყვა „პრიმიტივისტი“ და მხოლოდ ასე შეგვიძლია მოვიგონოთ იგი, როგორც დიდი მხატვარი. მას არ მიუღია კლასიკური განათლება, მაგრამ ქმნიდა იმას, რაც მის სულში აისახებოდა.

ჩემს წინ გადაშლილია „შალომ კობოშვილის მეთერთმეტე მცნება“. ვკითხულობ და წიგნში ჩართულ რეპროდუქციებს ერთადერთი მიზნით ვათვალიერებ, ახლოს ვაგვიცნო ჩემთვის აქამდე სრულიად უცნობი მხატვარი. როგორც ჩანს, გამოძიის. წიგნში გამოყენებულია ილია პაპისმედოვის, მიხეილ ჯანაშვილის, ოთარ სეფიაშვილის, ლელა ნინუაშვილის და რაც ყველაზე ძვირფასია, თავად დიდი მხატვრის სტატიები და ამონარიდები (ავტორი ცდება: ეს მასალები ეკუთვნის არა შალომ კობოშვილს, არამედ აშშ-ში მცხოვრებ მის შვილიშვილს – შალვა კობოშვილს – სიმონ კრიხელს).

პროექტის ავტორებმა გვეკვლინებინა გიორგი სანადირაძე და პავლე გორდელაძე, წიგნის გარეგანი შესრულებულია ცნობილი ამერიკელი მხატვრის, ცისანა ჯანაშვილის მიერ.

მასალების შერჩევაში შეუფასებელი როლი შეასრულა პროექტის თანაავტორმა და ნიუ-ორკის გაზეთ „დავიითის ფარის“ რედაქტორმა სიმონ კრიხელმა, მისსავე გაზეთში დაიბეჭდა პირველი სტატიები მხატვრის შესახებ.

გამომცემლობის რედაქტორია თინა ცანკაშვილი. ვკითხულობ და ჩემთვის ნათელი ხდება, რომ დიდმა შალომმა უხმაუროდ და უშუალოდ დატოვა ეს ქვეყანა და სამწუხაროდ, ვერ გახდა მსოფლიო აღიარების ღირსი.

ამ ცოტა ხნის წინათ კულტურულმა საქართველომ ზემოთ აღნიშნა პირველი ქართველი ებრაელი მხატვრის შალომ (სოლომონ) კობოშვილის (1876-1941) 130-ე წლისთავი.

საქართველოს ეროვნულმა სამხატვრო მუზეუმმა ამ მოვლენასთან დაკავშირებით მოამზადა ავტორის ნამუშევართა ექსპოზიცია და გამაშუშვა ფერადი კატალოგი.

კატალოგის რედაქტორმა და ექსპოზიციის რედაქტორმა ლელა ნინუაშვილმა არაერთი ათწლეული მიუძღვნა ამ გამოჩენილი მხატვრის შემოქმედების შესწავლას და საქართველოს კულტურულმა სამყარომ მისი ბევრეული შრომის წყალობით აღიარა ქართული ფერწერის ეს შესანიშნავი კლასიკოსი.

რედაქტორისგან: შალომს განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა დაენახა მომდრეალი ფენები, თითქოსდა მისთვის დრო არ არსებობდა, მათ შორის წელიწადის დროებიც. თუმცა მას გამორჩეულად უყვარდა გაზაფხული, წელიწადის ის დრო, როდესაც მდინარე ფოცხოს ნაპირებზე და მთელ მიმდებარე ტერიტორიაზე აკაცია ყვოდა და მისი თეთრ-ვარდისფერი ყვავილებით ქუჩათა ლაბირინთები იფარებოდა. ამ გარემოცვაში ცხოვრობდნენ ბრაელები. მას შეეძლო საათობით ეცქირა ქუჩებში მოფუსფუსე ადამიანებისათვის. ეს იყო მისი სამყარო, მისი ცხოვრება. ფრთხილად მოეწონებოდა ფარდებს. კობოშვილი დაბადა ორთოდოქს ებრაელთა ოჯახში, სადაც მას არ ჰქონდა ხატვის უფლება, რადგან უფალმა თქვა: „არა ჰქმენ თავისა შენისა კერპნი“.

ის იმიტაც იყო განსაკუთრებული მხატვარი, რომ ხატვა 61 წლის ასაკში დაიწყო და ფერწერას თავისი ცხოვრების უკანასკნელი სამი წელი მიუძღვნა. თვითნასწავლ მხატვარის თანდაყოლილმა ნიჭმა საშუალება მისცა ფერწერაში სამი წლის განმავლობაში მიეღწია უდიდესი წარმატებისთვის.

მისი ყოველი ნამუშევარი იყო ფერწერის ნამდვილი შედეგები და უნიკალური მოწვე ქართველ ებრაელთა ყოველდღიური, ტრადიციული ცხოვრების წესისა. მის ქმნილებებში მხატვარი ატოცხლებდა ბავშვობის მოგონებებს და XIX საუკუნის ახალციხელ ებრაელთა ცხოვრების ყველა ასპექტს ასახავდა.

როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, მხატვრის შემოქმედება მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმთან, სადაც იგი 1937 წლიდან ინსპექტორ-კონსულტანტად მუშაობდა.

სწორედ აქ აისრულა მან ბავშვობის ოცნება და ხელი მიჰყო ფერწერას.

მას ხშირად ავიწროებდნენ ხატვის გამო, რადგან ებრაელთათვის მხატვრობა საშინელ ცოდვად ითვლებოდა. განაჩენი ყოველთვის ერთიდაიგივე იყო: „მხატვრობა ებრაელისთვის უარგისი საქმიანობაა“. ახალგაზრდობაში იგი ხან მტვირთავი იყო, ხან დამტარებელი და ხანაც დახლიდარი.

უკვე ხანში შესული კობოშვილი მუზეუმში დარაჯად მოეწყო.

ასეთი დაუდგომელი ცხოვრების შემდეგ მუზეუმში მის ბოლო ნავთსაყუდელად იქცა. მუზეუმის დირექტორი ილია პაპისმედოვი დიდი მეცნიერი და დაუდღელი მუშაკი იყო.

პაპისმედოვის დამსახურებაა ის, რომ მან დაწვრილებით შეისწავლა ქართველთა და ებრაელთა მიერ ერთად განვილი



გზა, მათი ყოფაცხოვრება და ორი ერის საერთო სულიერი მოლოდინი.

ამის შემდეგ როგორ არ დავიჯეროთ ბედისწერის?! სწორედ ბედისწერამ მოიყვანა შალომ მუზეუმში, სადაც სულიერი და შემოქმედებითი თვალსაზრისით ჰპოვა საკუთარი თავი. ილია პაპისმედოვმა აღმოუჩინა მას დახმარება.

– ჩვენ შეგიქმნით ყველა პირობას, შენ მხოლოდ ხატე! ასახე ებრაელთა ყოფა-ცხოვრება. აი, ჩვენი მუზეუმი, ჩათვალე, რომ ის შენ განკარგულებაშია. მალე ჩვენ გამოფენას ვაწყოთ, სადაც სხვადასხვა მხატვრები წარმოადგენენ თავიანთ შემოქმედებას, თუ მოასწრებ, შენც მოგეცემა შესაძლებლობა დაიკავო მათ შორის ღირსეული ადგილი.

რედაქტორისგან: შეხედეთ შალომ კობოშვილის ნახატებს: მას ესმის სიტორიული სამშობლოს სახელი. მისი გენიალობა იმაშია, რომ შეინარჩუნა და განამტკიცა დროთა ურთიერთკავშირი. ყველაზე შთაბეჭდავი ამ გენიალურ ადამიანში კი ისაა, რომ ფუნჯს უკვე ასაკოვანმა კაცმა მოჰკიდა ხელი. იცხოვრა ტანჯვითა და აკრძალვებით აღსავსემ, ახლა კი ვხედავთ, რომ ფერთა მუსიკის სიბოხის სულში ინახავდა.

იგი ამ ფერებს გონებაში და სიზმრებში ასახავდა, ჩუმად და სხვებისგან ფარულად ატარებდა ხელოვანის ტვირის, რათა შემდეგ ერთიანად გამოეტანა იგი საამყაროზე.

მისი სახელი პარალელს პოუბებს დიდ ქართველ მხატვართან, ნიკო ფიროსმანთან. იყო თუ არა მათ შორის მსგავსება? უთუოდ!

გასაჭირში გაატარა სიცოცხლე – ჟამთასიავის ხანაში, ხელმოშობათვალ ქვეყანაში.

შალომი მთელი ძალებით ებრძოდა სიღარიბეს. სიღატაკეში აღმოხდა სული ფიროსმანისა. ამბობენ, რომ ისინი მეგობრობდნენ. შალომი შესცქეროდა, თუ როგორ მუშაობდა დიდი მხატვარი. ხოლო დასვენებისას საათობით დადიოდა მასთან ერთად ერთი ღუქიდან მეორეში. ალბათ, ისინი ერთადვე მუშაობდნენ. შალომის სიყვარულმა და ცნობისმოყვარეობამ ფერწერის მიმართ ფიროსმანს ათქმევინა სიტყვები: დარჩი ჩემთან! მე გასწავლი ხატვას, მართოსული ვარ, შენ დამეხმარები.

მაგრამ ამას ახდენა არ ეწერა. ნიკო ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან. შალომი კი შუა აზიაში გაემგზავრა, რათა იქედან ოჯახს დახმარებოდა. ვფიქრობთ, შალომის ამაოდ გაფანტულ ცხოვრებაზე, მის შემოქმედებაზე, რომელიც საერთოს პოუბებს ფიროსმანის შემოქმედებასთან.

ჩვენი დროის დიდი მხატვრები, რომელთაც უკვდავება ერთოდა წილად.

სწორედ ეს არის ფერთა მუსიკის საიდუმლო. როგორც შალომ კობოშვილის, ასევე ნიკო ფიროსმანის ფერთა მუსიკა დამუხტული იყო ქართული მუსიკის მზიური სინათლით. შეხედო მის ტილოებს. ეს მთელი ეპოქაა. ყველაფერი დეტალურად ინახებოდა შალომის სულსა და გონებაში და გასაგალი წლის შემდეგ გაცოცხლებოდა მის ნახატებში.

საინტერესოა მისი პირველი ნახატი „მოსამსახურე ბიჭი“... ეს შალომის ბავშვობაა: რთული, მშვიდი და უღიმღამო ფერებით გამოსახული. იგი უსიტყვოდ ითხოვს დახმარებას. ბავშვის ცხოვრება – უსასრულო დამცირებაა.

ამ თემას განაგრძობს მისი შემდეგი სურათი. ორი ებრაელი წვრილი მოვაჭრე (ჩარჩი ვაჭარი) გამოდის ქუჩაში თავისი საქონლით. გვეჩვენება, რომ თითქოს ამ ქუჩაზე ყველაფერი გაშემდა, მათ შორის ყელზე ლანგარჩამოკიდებული და მხრებზე ჩანთამოგდებული ვაჭრებიც.

ამის შემდეგ მან მრავალი ნახატი შექმნა. „აჯლა“, „ტყის მცველები“, „პატარძლის გაცელება აბანოში“, „რიტუალური დანიშნულები ქოხი“, „ცეკვა“, „საივო“, „მისიონერთა ლოცვა(დღესასწაული, სუქოთი)“.

ის, რასაც მას მთელი ცხოვრება უშლიდნენ, მისთვის უკვე შესაძლებელი გახდა და ის უკვე ცხოვრების საქმედ იქცა. ვრცელი დარბაზი, მოლბერტი, ჩარჩოები სურათებისთვის, ფუნჯები, მომდრეალი ფერების მთელი სამყარო. მაშინ მან მთელი ციკლი შექმნა. „მეკურტნეები“ „სამღებრო რიგი“, „ებრაელ ქალთა ხელსაქმე. იგი თავისი ღრმა ბავშვობის დროინდელი ყოფის სურათებს აღადგენს და შორეული წარსულის ეპიზოდებს ხედავს. ეს მისი შემოქმედების ნაწილია. მის თანამედროვეებს ახსოვთ უკვე მოხუცი და „ახლადდაბურებული“ მხატვრის მიერ წარმოქმნილი სიტყვა ერთ-ერთ სახეიმი შეკრებაზე.

„არ ვფიქრობ, რომ სიბერემ მაჯობა, სწორედ ახლა ვგრძნობ ძალთა განსაკუთრებულ ახალგაზრდულ მოზრვაებას. უფრო მეტიც, მთელი ცხოვრების მანძილზე, არც ბავშვობაში და არც შემდეგ არ განმიცდია ასეთი შთაბეჭება“.

ღირიული გადახვევა. ამბობენ, რომ შალომი ხშირად იხსენებდა ბათუმს. იფრთხილდა ზღვას, რომელიც ზომალდს, რომელიც გამქინვარებულმა ტალღებმა ზღვის სიღრმეში შთანთქმეს. იფრთხილდა ბიჭებს, რომლებიც ზღვაში დაიღუპნენ. ვარაუდობენ, რომ მას ხილვები ჰქონდა. ბავშვობის წარმოდგენები გონებაში ინახება როგორც არარეალიზებული სურათი.

ხშირად ავადმყოფობდა. მას ხშირად სტუმრობდნენ და ინტერესდებოდნენ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით. ერთხელ მან თავის ძველ მეგობარს ჰკითხა:

- როგორ ფიქრობთ სიკვდილის შემდეგ ადამიანს შეუძლია თოლიად გადაქცევა?
- სიკვდილამდე ჯერ კიდევ შორისა, - გაუღიმა მეგობარმა.
- და მაინც?
- არ ვიცი!
- მე კი მჯერა, მინდა თოლიად დაებრუნდე ამ ქვეყანაზე!

შალომის მთელი ცხოვრება მოგზაურობას გავდა. სამწუხაროდ, მას ავტობიოგრაფია არ დაუწერია, თორემ იგი თვალს მოგეჭვირებდა გეოგრაფიული დასახელებებით. სტამბული, პიტეგორსკი, შუა აზია, ბათუმი. ყველგან ლუკმა-პურის საშოვნელად. ვერ ჰპოვა თავშესაფარი დავოვრავდა, როგორც რიყის ქვა. განდევნილი დაბრუნებდა ამ ცოდვილ მიწაზე და ამ მითოლოგიურ გმირს მოგვაგონებდა, რომელმაც ადამიანებს ღვთიური ცეცხლი მოუპოვა. მთელი მისი შემოქმედება ცეცხლი იყო, რომელიც გვიან მაგრამ მაინც ანთო. ახლა კი დადა დრო და იგი საამყაროზე გამოვიდა.

რას შეგვიძლია შევადაროთ შალომ კობოშვილი? უფსკრულს, რომელშიც რაც უფრო მეტ ხანს იხედვით, მით უფრო გეხვევა თავბრუ. ასეთივეა მისი შემოქმედება. განსაკვირვებელი სიღრმე და ძალა, ფერთა თამაში პალიტრა. გვეჩვენება, რომ მისმა გმირებმა რეალურ ცხოვრებას გადააბიჯეს და მომავლისკენ გაიჭრნენ.

ეს დიდი ხელოვნების ნიშნებია. სამწუხაროდ, უკვე ძალიან გვიანია, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია შალომ კობოშვილი თამამად მივიჩნიოთ გენიოსად, ხოლო მისი შემოქმედება ნამდვილ საგანძურად და მომავალ თაობათა მემკვიდრეობად.

ლიანა შპრქაშვილი
„ბუხარან თაიში“ №41
გადმოთქვილია გაზეთიდან „დავიითის ფარი“

„დავიითის ფარის“ რედაქციისგან: ალბათ მკითხველს დაინტერესებს, ის რომ უახლოეს ხანს გამოვა ხელოვნებათმცოდნე ოთარ სეფიაშვილის ისტორიული „მარტოობის ნათელ-ჩრდილი“. წიგნი სრულიად ახლებულ რაკურსში წარმოგიდგენს შალომ კობოშვილის ცხოვრებას და შემოქმედებას. წიგნის გაფორმება და ილუსტრაციები ეკუთვნის მხატვარ ცისანა ჯანაშვილს.

თარგმნა ლილია ზომენკო



რას ვკითხვართ
ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება
საქართველოს მთავარი რაბინი
არიელ ლევინი



შეკითხვა

კვირის ამ საკითხზე თავს „შმინის“ უწოდებენ, რაც „მერვეს“ ნიშნავს. მერვე დღე უკავშირდება გადასაადგილებად გაძარში აპრონისა და მისი ვაჟების პირველ სამსახურს მათი მოშეს მიერ შეიღობიანი მოშვების შემდეგ. ეს მოხდა რომ-ხოლეშე (პირველ დღეს), ეგვიპტიდან გამოსვლის მეორე წელს ნისანის თვეში (ანუ პირველ ნისანს). აქედან მოყოლებული გამშენის შესინა ადგია ებრაელ ხალხს.

გემარა „მეგალიში“ ჩვენმა ბრძენებმა სთქვეს: „იმ დღეს (როცა აუროთხეს გაძარი) მეცაში ისეთივე სიხარულით შეხვდნენ, როგორც ცისა და მიწის შექმნის დღეს.“ ამ თავში წერია: „და იყო მერვე დღეს“, სამყაროს შექმნისასაც ასევე წერია: „და იყო სადამო და იყო დღე“ (ეს არის თორის ახსნის ერთ-ერთი პრინციპი). მეორეს მხრივ, სიგყვა „და იყო“ ჩვეულებრივ დარდს გამოხატავს. და ამ სამხიარული დღეს მოხდა დიდი უბედურება – დაიღუპა აპრონის ორი უფროსი ვაჟი – ნადავი და ავიჰუ. ამ დღეს, როგორც ცნობილია აპრონმა და მისმა ვაჟებმა პირველად შეასრულეს გაძრის სამსახური, რომელიც მოითხოვს სიფრთხილეს, რადგანაც მათ შეეცდომა არ უნდა დაუშვან, ეს საშიშია. თორაში წერია, რომ

აპრონის ვაჟებმა წმინდაწმინდაში „უცხო ცეცხლი“ მიიტანეს, ის ცეცხლი, რომელიც მათ არ ჰქონდათ ნაბრძენები. იმის გამო, რომ თორა ნათლად არ მიუთითებს მათ ცოდვას, ჩვენი ბრძენების ამრები გაიყო. რაბი ელიემერი თელიდა, რომ მათ უცხო ცეცხლი სამსხვერპლოზე დასანთებდა მიიტანეს. იმის მიუხედავად, რომ მეციდან ცეცხლი მაინც დაეშვა, ისინი არ დაელოდნენ სასწაულს და სამსხვერპლოზე აანთეს ცეცხლი. ამ ქმედებაში, ერთი შეხედვით, არავითარი ცოდვა არაა. მაგრამ იმის გამო, რომ მათ ეს გადაწყვეტილება მოშეს, მათი მასწავლებლის, გარეშე მიიღეს, მას რჩევა არ ჰკითხეს, სიყველი დაიმსახურეს. ის ადამიანი, რომელიც მასწავლებლის თანდასწრებით მისგან ნებართვის გარეშე მიიღებს რაიმე გადაწყვეტილებას, თორის ავტორიტეტის წინააღმდეგ ჯანყდება. თორა ხომ თაობიდან თაობას გადაეცემა და ყოველი მასწავლებელი მის მოწაფესთან შედარებით უფრო ახლოსაა გამჩენთან და მოშესთან. მისწავლე ამით მასწავლებლის უპატივცემულობასაც გამოხატავს. ამიტომ მოწაფე ვალდებულია პატივი სცეს მასწავლებელს, რითაც ის პატივს მიაგებს გამჩენს და მის თორას. არის ასეთი ამრიც, რომ „უცხო ცეცხლი“ ნიშნავს იმას, რომ მათ ღვინო დალიეს, ან არ ჩაიცივეს ყველა შესაბამისი განსაკმელო, ან, ზოგიერთი ბრძენის ამრით, არ გააყეთეს ხელების განბავა (ნეგლიათ იადაიმ) სამსახურის წინ. არის ასეთი ამრიც, რომ ისინი უცოლოები იყვნენ. და რაგომ . . . „მამაჩვენი მთავარი ქოენია, ბიბა – რჩეული ხალხის მეფე, მამ ვინ შეგვეფერება ჩვენ წარმომავლობით, რომ ცოლად მოვიყვანოთ. აქედან ჩვენ ვსწავლობთ, რომ ადამიანი ხშირად ცოლის მოყვანისას არ უნდა მიაქციოს ყურადღება ადამიანის წარმომავლობას, თუმცა არც ძალზე შეუფერებელი უნდა ექნოს. ცოგა ხნის წინ საინგერესო შემთხვევა მოხდა. ერთმა წყვილმა ნიშნობა გადაიხადა და მალე სასიძო ისეთი დიდაგომით გახდა ავაღ, რომ არ იცოდნენ, განიყურებოდა თუ არა. მაშინ საცოლეს უთხრა, რომ მასზე არავითარი პრეგენია აღარ გააჩნია და ბედნიერება უსურვა. მან გადაწყვიტა, რომ საცოლე მთელი ცხოვრება მის გამო არ უნდა დაგანჯულიყო. დანიშნულმა კი სხვაგვარად იფიქრა: „ის ჩემი წყვილია მეციდან და არ დაემორღებოთ“. მივიღნენ რაბი კონევესისთან ბნიე-ბრავიდად რჩევისათვის. მისმა

ერთ-ერთმა ახლობელმა ჰკითხა, თუ რის საფუძველზე გამოიგანა მან ასეთი დასკვნა. მან უპასუხა, რომ არის ასეთი მიღრამი (მეპირი გადმოცემა): ალექსანდრე მაკედონელი ერთხელ მოხვდა ქვეყანაში, რომელსაც კაცია ერქვა. მის მეფესთან ორი ადამიანი მივიდა განსასჯელად. ერთმა მეორეს მიწა მიჰყიდა და ამ მიწაზე მყიდველმა განძი იპოვა. გამყიდველი ამგვიცებდა, რომ მან მიწა მთლიანად გაყიდა და ამიტომ განძი მყიდველს ეკუთვნისო, მყიდველი კი საპირისპიროს ამბობდა: „მე ხომ მხოლოდ მიწა ვიყიდე, განძი გამყიდველისააო“. მეფემ ჰკითხა მათ თუ ჰყავდათ შესაფერისი ქალი და ვაჟი და ურჩია მათი დაქორწინება. გაკვირვებულმა მაკედონელმა წამოიძახა, რომ ასეთ შემთხვევაში მის ქვეყანაში მოგავდა ორივეს და განძს სახელმწიფოს გადასცემდა. მეფემ ჰკითხა მას: „თქვენთან მშე ანათებს, ბალახი ამოდის და ხეები ნაყოფს გამოისხამს?“ მაკედონელმა უპასუხა, რომ ყველაფერი ეს აქეთ. მაშინ კაცის მეფემ უთხრა, რომ ალბად გამჩენი ყველაფერს მხოლოდ ცხოველებსათვის გზავნის, რადგანაც მათი ქვეყნის ხალხი ამას არ იმსახურებს. მამ, ასე, რაგომ ურჩია კაცის მეფემ შეიღების დაქორწინება? არა მხოლოდ იმიგომ, რომ მათ შესძლებოდათ განძის გაყოფა, არამედ იმიგომაც, რომ თუ ორივე ადამიანს ასეთ დათმობაზე წასვლა შეუძლიათ, ისინი შეეფერებიან ერთმანეთს.

სწორედ ასევე ახსნა რაბიმ, რომ ახალგაზრდებიც კეთილმოზილებითა და სულიერი სიმაღლით შეეფერებიან ერთმანეთს და ამიტომ ისინი უნდა დაქორწინდნენ.

ჯამათის
მადლობა

2 აპრილს, პარასკევ სადამოს, საშაბათო ლოკის შტეტე ნახანა დავით ანიხოვა გაძკობის დავალებით საქამათო მადლობა გამოუცხადა იმ ბიზნესმენებს, რომელთაც სათესხილ უჩავართ დახმარება გაუწიეს ქართულ კბრალთა ბეთ ქსესოს. ქსესი განლაგან: დია მონაძელო, თქურ დათკამელო, იოსკა მამისთ-კლოგი (ისრაელი), დავით კოთაშვილი (გელგია).

ისრაელი-ავსტრია-თბილისი



ილანი ახალგაზრდა ისრაელიელი ყმაწვილია, რომელიც საქართველოს ავსტრიიდან ეწვია. საქართველოში ჩამოსვლა მის სწავლას უკავშირდება. ავსტრიის კოლეჯის სტუდენტს პრაქტიკის გასაუღელად კერძო სასურველი კომპანია უნდა ამერჩია. მისი რჩეული საქართველოში ცნობილი კომპანია „ავგრისი“ აღმოჩნდა. როდესაც ჩამოსულმა შეიტყო, რომ საქართველოში არსებობდა ებრაული სახლი და ძლიერი ებრაული თემი ძალიან გაუხარდა და სურვილი გამოთქვა მოენახულებინა. ინტერვიუც ებრაულ სახლში ჩაეწერეთ. ილანი საინტერესო მოსაუბრეა.

- ილან ვაზეთ „მენორას“ მეთხველს დაინტერესებს ვინ ხართ. გაეცანით მათ.
- 1984 წლის 13 ივნისს ყაზახისტანში. ქ. ყარაგანდაში დაევიბადე. 5 წლის ვიყავი, როცა ოჯახთან ერთად ისრაელში ავედი. ამეკლონში დავსახლდი.
- თქვენი ისრაელში რეპატრაცია უბრალოდ აღთქმულ მიწაზე ასვლა იყო, თუ რამე კონკრეტული ფაქტებით იყო გამოწვეული?
- ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩვენს ოჯახში ისრაელში ასვლის საკითხი უკვე იდგა. განსაკუთრებით ბიბა გამოთქვამდა რეპატრაციის სურვილს, მაგრამ ქვეყანაში არსებულმა მდგომარეობამ ეს პროცესი ცოტათი შეაფერხა.
- შეფერხების მიზეზი რა იყო?
- ბებიამეში 30 წლის განმავლობაში სკოლის დირექტორი იყო. ბაბუაც მუშაობდა. როცა ბიბამ ისრაელში ასვლის სურვილი გამოთქვა ოჯახს გამოუცხადეს, რომ თუ ისრაელში რეპატრაციის სურვილს განაცხადებდნენ, ოჯახს პრობლემები შეექმნებოდა,

- ამიტომ წასვლა გადაიდო განუსაზღვრელი დროით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკვე აღარ იდგა საკითხი წავსულიყავით თუ არა ისრაელში და მთელი ოჯახი ავედით ისრაელში. იქ დამკვიდრება არ გაგვიჭირებია, რადგან ისრაელში გვყავდა ნათესავები. ბუბის დედა 20-იან წლებში ავიდა ისრაელში, იყო ერთ-ერთი პიონერი ისრაელიელი.
- როგორ დამკვიდრდი ისრაელში?
- ისრაელში თავიდან ვცხოვრობდით ამქელონში, შემდეგ გადავედით შაარ პანეგეში, აქვე დავამთავრე სკოლა. სკოლა რომელშიც ვსწავლობდი. ძალიან დიდი სკოლაა. იქ სხვადასხვა დასახლებებიდან, კობუცებიდან დადიან ბავშვები. სკოლის დამთავრების შემდეგ 3 წელი ჯარში ვიმსახურე. სამხედრო სამსახური ყველა ისრაელელის მისიაა. ეს მისია მეც შევასრულე. ჯარმა ცხოვრების დიდი გამოცდილება შემძინა. ჯარის დამთავრების შემდეგ 2 წლის განმავლობაში პერიოდულად ინდოეთში დავდიოდი.
- ინდოეთში რატომ?
- მამამემ ინდოეთში ჰქნდა ბიზნესი და მამასთან ერთად ვემუშაობდი.
- ძალიან საინტერესო პერიოდი იყო ინდოეთში ყოფნის დრო. მიყვარს ახალ კულტურასთან, სხვა მენტალობის ადამიანებთან ურთიერთობა. ბევრს სწავლობ. ეს ძალიან საინტერესოა. ინდოელები საოცარი ხალხია. მათთვის სიტყვა „არა“ არ არსებობს. უარს არაფერზე ამბობენ, მაგრამ შედეგები სხვანაირია ხოლმე.
- სკოლიდან ჯარში, შემდეგ კი პირდაპირ ბიზნეს-გარეშოში აღმოჩნდი. სწავლა როდის დაწყე?
- ინდოეთიდან ჩამოსვლის შემდეგ გადაწყვეტიე პროფესია შემეძინა და ინტერნეტში მოვიძიე ინფორმაცია უნივერსიტეტების და კოლეჯების შესახებ. ბიბის შედეგად შევარჩიე ავსტრია. ამჟამად ვსწავლობ ავსტრიაში. კოლეჯში: „auder business school“. ვსწავლობ ბიზნეს-მენეჯმენტის ფაკულტეტზე.
- ავსტრიაში ბევრი ებრაელი ცხოვრობს. ალბათ არსებობს ებრაული თემი. თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ ავსტრიის ებრაული თემთან?
- კი, რა თქმა უნდა, არის ებრაული თემი. ოფიციალური ინფორმაციით ავსტრიაში 7000 ებრაელი ცხოვრობს. მუშაობს მრავალი ებრაელი ორგანიზაცია. ერთ-ერთია „ნევემ იეჰუდ“, სადაც რელიგიურ საკითხებს ასწავლიან. ავსტრიაში შევიძინე კარგი მეგობარი რაბი სენდერი. რაბინი განათლებული და ძალიან კარგი ადამიანი. ავსტრიაში ქაშერი რესტორნებიც არის.


- პერიოდულად ვსტუმრობ ხოლმე ამ რესტორნებს.
- ახლა ავსტრიაში ხარ. კოლეჯს რომ დაამთავრებ რა იქნება შექმნე?
- ამ საკითხზე ვფიქრობ. სწავლა აუცილებლად უნდა გავაგრძელო, რადგან, სერიოზულ სამსახური ვეროპაში მეორე საფეხურის დამთავრების გარეშე თითქმის შეუძლებელია. ვფიქრობ, როგორ დავგვემო ჩემი ცხოვრება. 2 ვარიანტი მაქვს: ერთი, პარალელურად ვისწავლო და ვიმუშაო და მეორე მხოლოდ ვისწავლო და შემდეგ ვიმუშაო.
- უკვე ამირჩეული გაქვს სად ისწავლი?
- ჯერ არა. ბიბის პროცესში ვარ. კარგად უნდა დავფიქრე და ამოვარჩიო სასწავლებელი. ენახოთ რა იქნება...
- საქართველოში რას საქმიანობ?
- ავსტრიაში ბიზნეს-მენეჯმენტის ფაკულტეტზე ვსწავლობ. დამამთავრებელ კურსზე ვარ. სასწავლებელში მოგვცეს დავალება, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში და ნებისმიერ ფირმაში გავგველო პრაქტიკა. არჩევანი თავსუფალი იყო. მე რამდენიმე წლის წინათ ვიყავი საქართველოში. ვიცოდი რომ საქართველოში არსებობდა ისეთი წარმატებული და ცნობილი კომპანია, როგორცაა „ავგრისი“, ამიტომ გადაწყვეტიე საქართველოში ჩამოსვლა. ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი გადაწყვეტილებით.
- რამდენი ხანი დარჩები საქართველოში?
- ივნისამდე. თებერვლის ბოლოს ჩამოვედი და ივნისამდე ვიქნები საქართველოში.
- როგორია ილანის თვალით დანახული საქართველო?
- ძალიან ლამაზი. ყველაფერი მომწონს. ძალიან ლამაზი ბუნება გაქვთ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ლამაზი მანდილონები არიან. მომწონს ქართული სამზარეულო. საოცარი ხალხი ცხოვრობს საქართველოში. თბილი, მეგობრული. უყვართ ერთმანეთის დახმარება. ქართველებს და ებრაელებს ნათესაური სული აქვთ. მენტალობით ვგავართ ერთმანეთს. ქართული ხასიათი ჩემთვის ახლობელია.
- ნახეთ ებრაული სახლი. როგორი შთაბეჭდილება დავრჩათ?
- ვიცი ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შესახებ. აგრეთვე ვიცოდი, რომ საქართველოს ებრაული თემი ძლიერი და აქტიურია. დარწმუნებული ვიყავი, რომ იქნებოდა ბევრი ებრაული ორგანიზაცია. მოხარული ვარ, რომ ვეწვიე ებრაულ სახლს. ძალიან მიხარია, რომ საქართველოში არსებობს ებრაული ორგანიზაციები, სინაგოგები. ეს ჩემთვის ამალელებულია.

ჩაიწერა ნინო ლომიამ

„შრომები VI“

გამოვიდა დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის შრომების მეექვსე ტომი. ტომის გამოცემლები კვლავინდებურად არიან საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაცია, კავკასიის ფონდი, ასირიოლოგთა, ბიბლიისტიკა და კავკასიოლოგთა საზოგადოება, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი.

გამოცემის რედაქტორია გივი ღამბაშიძე. მეექვსე ტომში შესულია შემდეგი ნაშრომები: **ეკა ავალიანი** – „ფინიკიური ქალაქ-სახელმწიფოს რეკონსტრუქცია ბიბლიურ კონტექსტში“, **ზაზა ალექსიძე** – „ქართველ ებრაელთა საღმრთო მისია შუასაუკუნეების ქართული საეკლესიო ტრადიციით“, **ჯემალ ავალიანი** – „ჩემი სამწერლო ენა ქართულია, ჩემი თვითგამოხატვის ყველაზე მხერხებულ გზად ქართული მიმართა“.



მისივე – „ბორის გაბონოვის წერილები“, **ელბერდ ბატიაშვილის** – „თეოდორ ჰერცლი, ილია ჭავჭავაძე და დავით ბააზოვი, ებრაული კიბუცი და ქართული „კომლი“, **გივი ბოლქვაძე** – „იუდეურ-არამეული მაგიური წარწერა მცხეთის ოქროს ავდაროზე და ახდენილი წინასწარმეტყველება“, **ეკატერინე ბურჯუაძე** – „კულტურათა დიאלოგი“ „თავისი და „სხვისი“ კულტურების ურთიერთობის ასპექტები საქართველოს ებრაელთა ტრადიციული მუსიკის მაგალითზე“, **ნელი გვენცაძე-რუსუდან კობახიძე** – „დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა მუზეუმის ფონდების შენახვა“, **ზაირა დავარაშვილი** – „თბილისის ებრაული სათემო სახლი – ებრაული ცხოვრების ინფრასტრუქტურული კომპლექსი“, **რეუვენ ენოხი (რუბენ ერუქაშვილი)** – „დიალექტიკური თავისებურებათა გამოვლენა თავისილში“, **ვაჟა თვალავაძე** – „ქართველი და ებრაელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან“, **ლია კრინელი** – „სახელის უკვდავსაფოვად“, **ნანა კუცია** – „გურამ ბათიაშვილის რომანი „ჟამი ღუმლისა და ჟამი უბნობისა“, **მანუჩარ ლორია** – „აჭარაში ებრაელთა ცხოვრების ზოგიერთი თავისებურება“, **ელდარ მამისთვალისძე** – „ქართველი ებრაელები ქართულ დოკუმენტურ წყაროებში“, **გურამ მირცხულავა** – „ქართველ ებრაელთა ცხოვრების ზოგიერთი საკითხი ზ.ჭიჭინაძის მიხედვით“, **გაბრიელ ნამთალაშვილი** – „მცხეთის აშუაღუტის მაგნეტიზმი“, **ნონა ნებიერიძე** – „ღ წინდებულის სინტაქსურ-მორფოლოგიური ფუნქციები თანამედროვე და ძველ ებრაულში“, **ვანტანე ნიკოლეიშვილი** – „ქართლის (იბერიის) სამეფო ტერიტორიაზე აღმოჩენილი ებრაული წარწერები“, **მარინე ქავთარაძე** – „იოსებ ბარდანაშვილი – შტრიხები შემოქმედებითი პორტრეტისათვის“, **გივი ღამბაშიძე** – „თანამედროვეობის უდიდესი მხატვარი“, **მაია ღამბაშიძე** – „მეწაფე და „დაბალი“ ძველ ანატოლიასა და პალესტინაში“, **ნელი ჩაფიძე, ზატია გულბანი** – „საფრანგეთში განმტკიცებული ქართულ-ებრაული სულიერი ერთობა“, **ნელი ჩაფიძე** – „ქართველ ებრაელთა ეროვნულ-კულტურული მოძრაობა XX საუკუნის 20-იან წლებში“, **ბიძინა ჩოლოყაშვილი** – „სიღონის წინასწარმეტყველება“, **გემონ ბენ ორენი** – „სიტყვა მამა-მეილზე (მოგონება მორდესაი და ცისანა ჯანაშვილებზე)“, **შალვა წიწყაშვილი** – „რაბინთა კრება ქუთაისში“, **შალვა წიწყაშვილი** – „დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის „შრომები“ V (თბილისი, 2008), **გივი წულაია** – „ზოგჯერ განსხვავებულ შეუძნეველია, ქართველ ებრაელთა სახელები“, **ალექსანდრე ჯავახიშვილი** – „კავკასიელი ებრაელები“, **ჯემალ ავალიანი** – „სოლომონ გერ-შოვი – თანამედროვეობის უდიდესი მხატვარი“, **მარინე კომპაძე, ალექსანდრე სანიკიძე** – „ქრონიკები“, „მუზეუმის შენახვა“.



შვილები: მალხაზი, თამაზი, ჯემალი, ნუპრი და მათი ოჯახის წევრები ბიან ლევის –
ბაჩიკო იაკობის ასული ნანიკაშვილის
 ბარდაცვალების (ოსრაქაშვილი)

„წოდების“ მოწოდებული წარმომადგენელი საქართველოში მინახავს ელახარი (გელბია) თანაბრძობას უცხადებს ვილხაზ ნანიკაშვილს ლევის –
ქ-ნ ბაჩიკოს
 ბარდაცვალების გამო.

ბააზოვი „მენორას“ რედაქციის თანაბრძობას უცხადებს ჩვენი ჯამაათის წევრს ვილხაზ ნანიკაშვილს ლევის –
ქ-ნ ბაჩიკოს
 ბარდაცვალების გამო.

კროსკორდი

ებრაულ მეცნიერები – ფიზიოლოგიასა და მედიცინაში ნობელის პრემიის ლაურეატები – 2 სწორად შეესაბამებენ მინიმალურ სვეტში ჩაიწერება ამერიკელი მეცნიერის გვარი, რომელსაც 1975 წელს ნობელის პრემია მიენიჭა კიბოს ვირუსული წარმოშობის მექანიზმის აღმოჩენისათვის.

- ინგლისელი მეცნიერი; პრემია (1953) შრომებისათვის ნახშირწყლების გაცვლაში.
- ამერიკელი მეცნიერი; პრემია (1978) შრომებისათვის მოლეკულურ გენეტიკაში.
- ამერიკელი მეცნიერი; პრემია (1946) რადიაციული გენეტიკის შექმნისათვის.
- ამერიკელი მეცნიერი; პრემია (1975) კიბოს ვირუსული წარმოშობის მექანიზმის აღმოჩენისათვის.
- ამერიკელი მეცნიერი; პრემია (1967) მხედველობის პროცესის ფიზიკა-ქიმიური ასხნისათვის.
- ამერიკელი მეცნიერის; პრემია (1952) სტრუქტურული დამზადებისათვის.
- ფრანგი მეცნიერი; პრემია (1965) ბაქტერიებში ცილის სინთეზის რეგულაციის დადგენისათვის.
- ამერიკელი მეცნიერი; პრემია (1969) ვირუსების გენეტიკური სტრუქტურის აღმოჩენისათვის.
- გერმანელი მეცნიერი; პრემია (1908) შრომებისათვის იმუნოლოგიაში. კროსკორდი შეაღებინა არკადი ქოჩრისწვილმა.